



საქმე №1/ზ-249-17

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
**საქართველოს სახელით**

19 აპრილი 2017 წელი

თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს**  
**სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ**  
**შემდეგი შემადგენლობით:**  
**თავმჯდომარე:** მარინა ხოლოაშვილი  
**მოსამართლეები:** კახაბერ მაჭავარიანი  
მანუჩარ კაპანაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ქ.-ს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 01 თებერვლის განჩინებაზე და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ივლისის განაჩენით ა. ქ. (დაბადებული: XX.XX.XXXX წელს, პირადი: XXXXXXXXXXXX რეგისტრირებული: თბილისი, ა. ქ.-ს ქუჩა, სახლი XX/XX და ფაქტობრივად მცხოვრები: თბილისი, თ. მე-X მ/რაიონი, კორპუსი NX, ბინა NX) ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2(ორი) წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე ნაწილის საფუძველზე, ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე, ჩამოერთვა საადვოკატო საქმიანობის უფლება 1(ერთი) წლის ვადით.

2017 წლის 31 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ა. ქ. და ითხოვა საადვოკატო საქმიანობის უფლების აღდგენა შემდეგ გარემოებებზე მითითებით: ა. ქ.-ს ერთადერთ საქმიანობასა და შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მისი პროფესია და დაწესებული სამართლებრივი შეზღუდვის ფონზე მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს ერთადერთი საქმიანობა. იგი აცნობიერებს მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათს, სიმძიმეს და გულწრფელად ნანობს, 09.09.2016 წლიდან იმყოფება თბილისის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე და პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 01 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა, საადვოკატო საქმიანობის უფლების აღდგენის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. ქ.-მ, რომელმაც მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გაუქმება, დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება და ვადამდე ადრე ჩამორთმეული საქმიანობის უფლების აღდგენა. აპელანტი საჩივარში მიუთითებს, რომ მის ერთადერთ საქმიანობასა და შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მისი პროფესია და არსებული შეზღუდვის ფონზე მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს ერთადერთი საქმიანობა. ასევე, წარსულში არ არის ნასამართლევი, სრულად გააცნობიერა ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, სიმძიმე, გულწრფელად ნანობს, 09.09.2016 წლიდან იმყოფება თბილისის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე და პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს. მისთვის მორალურად საკმაოდ მძიმე მდგომარეობის ათვლა, 2013 წლიდან არის დაწყებული. ამასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული მიმდინარე საკითხების მოგვარებაც, დამოკიდებულია ასევე მიუღებელ შემოსავალზე.

სასამართლო პალატამ განიხილა რა აღნიშნული საქმე, შეამოწმა სააპელაციო საჩივრის საფუძვლიანობა, შეისწავლა საქმის მასალები, მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 1 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლო პალატა ეთანხმება განჩინების მოტივაციას, საადვოკატო საქმიანობის უფლების აღდგენის თაობაზე, უარის თქმის შესახებ და მიზანშეუწონლად მიაჩნია, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის მხედველობაში მიღებით (ა. ქ. მსჯავრდებულია სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციის მუხლით) და იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მისი საქმიანობა წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია სწორედ მართლმსაჯულების განხორციელებასთან, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულის მიერ მოყვანილი არგუმენტაცია არ წარმოადგენს უპირობო საფუძველს შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად, მსჯავრდებულს აღუდგეს ვადამდე ჩამორთმეული საადვოკატო საქმიანობის უფლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 01 თებერვლის განჩინება ა. ქ.-ს მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების აღდგენის თაობაზე უარის თქმის შესახებ, არის კანონიერი, დასაბუთებული და უნდა დარჩეს უცვლელად.

პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით, 291-ე მუხლით,

## და ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ ა. ქ.-ს სააპელაციო საჩივარის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 01 თებერვლის განჩინება ა. ქ. - მიმართ.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

მ. ხოლოაშვილი

მოსამართლეები:

კ. მაჭავარიანი

მ. კაპანაძე